საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

8 წლისაა

2013 წელი
WWW.GBA.GE

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

პატივცემულო ადვოკატებო,

საქართველოში, ადვოკატის პროფესიის მდიდარი ისტორიის და ტრადიციების გათვალისწინებით, რვა წლის წინ შეიქმნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და მინდა მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი დღე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, წმინდანად შერაცხული ქართველი კლასიკოსის და ადვოკატის ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე 8 ნოემბერი ადვოკატის დღედ გამოცხადებულიყო, მოიწონა და დალოცა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, უკანონოდ გასამართლებული 157 ადვოკატის გამო, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა შეეწირა ქვეყანაში ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციური დევნის პროცესს, ადვოკატთა ასოციაცია მასშტაბურად არასოდეს აღნიშნავდა ადვოკატის დღეს. ადვოკატთა კორპუსმა არნახული გმირობის მაგალითი აჩვენა სამოქალაქო საზოგადოებას. რისკის ფასად იცავდა და იცავს ადამიანის უფლებებს, რითიც შეგვიძლია ვიამაყოთ. სამწუხაროდ, დღეს, სამართალდამცავი ორგანოები ადვოკატებს კვლავ ემუქრებიან თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების გამო, რაც საგანგაშო ფაქტია. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იბრძოლებს იმისათვის, რომ ჩვენი პროფესია იყოს დაცული. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ერთადერთი გაერთიანებაა ევროპაში, რომელმაც საერთაშორისო დონეზე მიაღწია ადვოკატის პროფესია რისკის შემცველ პროფესიად ყოფილიყო აღიარებული. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებით დადასტურა ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციური დევნა, რაც ნებისმიერი ქვეყნისთვის სამარცხვინო ფაქტია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ძალისხმევით, საკანონმდებლო დონეზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შედის ისეთი ცვლილებები, რომლებიც დაეხმარებიან ადვოკატს განახორციელოს კლიენტის სრულფასოვანი დაცვა. 2014 წლის იანვრიდან მოწმედ დაბარებული პირი დაიკითხება პირდაპირ სასამართლო პროცესზე. მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატს შესაძლებლობა ექნება თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, მოწმეზე ზეწოლის გარეშე დაიცვას. 2014 წლის სექტემბრიდან ადვოკატებს უფლება ექნებათ მიმართონ სასამართლოს ჩხრეკის და ამოღების თაობაზე, რაც ჩვენი პროფესიის განვითარების და პოპულარიზაციის საფუძველია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატებს უფასოდ შესთავაზა განგრძობადი იურიდიული განათლება, რომელიც უფრო მასშტაბური გახდება. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, თბილისში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი სასწავლო ცენტრი, 2014 წლიდან ბათუმში გაიხსნება ადვოკატის სახლი, რომელსაც ექნება სასწავლო ცენტრი, ეს ხელს შეუწყობს ადვოკატის პროფესის განვითარებას. ადვოკატთა ასოციაცია არ აპირებს პროფესიული განვითარების შეჩერებას და იბრძვის იმისათვის, რომ ჩვენი პროფესია გახდეს ყველაზე დაცული და წარმატებული პროფესია ჩვენს ქვეყანაში.

ამაყო და ღირსეულო კოლეგებო, გილოცავთ პროფესიულ დღეს, გფარავდეთ უფლის მადლი და ძალი!

ზაზა ხატიაშვილი

აღმასრულებელი საბჭო

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია და შეიქმნა, 2006 წელს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და „ადვოკატთა შესახებ“ კანონების საფუძველზე.

ასოციაციის მისია

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის ძლი–ერი, დამოუკიდებელი პროფესიული გაერთიანება, რო–მელიც მონაწილეობას იღებს სათანადო სამართლებრივი გარემოს ფორმირებაში და უზრუნველყოფს პირობებს სრულყოფილი მაღალპროფესიული, შეუზღუდავი დაცვის განხორციელებისათვის.“

ასოციაციის მიზნები:

- საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების და კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშეწყობა;
- იურიდიული პროფესიის განვითარება;
- ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესების და დამოუკიდებლობის დაცვა;
- საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფა;
- იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;
- ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებაში ადვოკატისადმი ნდობის და რეპუტაციის ამაღლება;
- ადვოკატების სოციალური დაცვი ს ხელშეწყობა.
- ორგანიზება გაუწიოს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობას და სავალდებულო, განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამას;
- ორგანიზება გაუწიოს ადვოკატებისათვის სემინარებს, დისკუსიებს, მრგვალ მაგიდებს და სხვა პროექტების განხორციელებას;

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1

წლის სტაჟი, გაწევრიანების მოთხოვნით, დადგენილი წესით, მიმართა ასოციაციას და დადო ფიცი. ამჟამად ასოციაციაში გაწევრიანებულია 3800 პირი.

აღმასრულებელი საბჭო

ასოციაციის მმართველი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება 12 წევრისაგან და არჩეულია ასოციაციის საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით. ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის აღმასრულებელ საბჭოში.

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებულმა არაერთმა გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციურ გაძლიერებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, ადვოკატის უფლებებისა და პროფესიული თავისუფლებების დაცვას. ასევე, საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფას, იურიდიული განათლების ხელშეწყობას და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას, ადვოკატთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები

განხორციელებული პროექტები (2010-2013 წლები)

- ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობები შეიცვალა ახალი პლასტიკური ბარათებით, რომელზეც დატანილია დამცავი შტრიხკოდი.
- ადვოკატები ერთი წლის განმავლობაში სარგებლობდნენ უფასო სამედიცინო დაზღვევევით;
- საპენსიო ასაკის ადვოკატებზე გავრცელდა შეღავათი. თბილისში მომუშავე საპენსიო ასაკის ადვოკატებისთვის საწევრო გადასახადი განისაზღვრა 100 ლარით, ხოლო რეგიონებში მოღვაწე საპენსიო ასაკის ადვოკატებისთვის წლიური საწევრო გადასახადი შემცირდა 50 ლარამდე.
- დასავლეთ საქართველოში მომუშავე ადვოკატებისთვის ასოციაციამ შეიძინა ოფისები ქუთაისსა და ბათუმში. იგეგმება ოფისების შეძენა ქალაქ ფოთში, ზუგდიდსა და ახალციხეში.
- ქუთაისსა და თელავში ადვოკატებისთვის გაიხსნა რეგიონული წარმომადგენლობები სადაც ფუნქციონირებს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ტრენინგების დარბაზი და სამკითხველო ოთახი.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოების საბჭოს (CCBE) და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (IBA – International Bar Association) წევრი;
- შეიქმნა სისხლის სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე სოსო ბარათაშვილი); სამოქალაქო სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე გოჩა სვანიძე); ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე ქეთევან ქვარცხავა); კომერციული სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე ზაზა ბიბილაშვილი); აგრეთვე, ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია (თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი); განგრძობადი იურიდიული განათლების კომისია, რომელიც შემდგომში გადაკეთდა საგანმანათლებლო საბჭოდ, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცდა ზვიად კორძაძე.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და ამ პროცესის უკეთ ადმინისტრირებისთვის ქ. თბილისში შეძენილ იქნა მეორე შენობა (ძმები ზუბალასვილების N 33), სადაც განთავსდა ასოციაციის სასწავლო ცენტრი და გაიხსნა ტრენინგების მეორე დარბაზი. 2013 წლის სექტემბრიდან ქ. თბილისში ტრენინგების ჩატარება შესაძლებელი გახდა პარალელურად ორივე ტრენინგ–დარბაზში.
- ევროკავშირის პროექტის „Hulla & Co. Human Dinamics K.G დაფინანსებით შეიქმნა ადვოკატთა რეესტრის და კეის–მენეჯმენტის საძიებო სისტემა:
- 2012 წელს შექმნილი იურიდიული პროფესიის მარეგულირებელი კანონების და ადვოკატთა კანონში ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება. ჯგუფი შედგებოდა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრებისგან; ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც უზენაესი სასამართლოს, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები. ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (UNDP, EU, ABA, UN, OHCHR, GTZ/GIZ..GLIP. GYLA)
- საქართველოს და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები, რომლთა მიზანი იყო ერთობლივი სამართლებრივი კვლევების წარმართვა, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ერთობლივი პროგრამების განხორციელება;
- NORLAG–ის პროექტის დაფინანსებით გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული ბიბლიოთეკა, რომლის ძირითადი ბენეფიციარები ადვოკატები, სტაჟიორები და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არიან; და ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა: Philip Leach - „Taking a Case to the European Court of Human Rights“ და James E. Moliterno and George C. Harris - „Global Issues in Legal Ethics“
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობის (UN OHCHR) მხარდაჭერით, ჩატარდა კვლევა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში სასწავლო საჭიროებების შესახებ,“ რომლის შედეგად გამოიკვეთა ადვოკატთა თეორიული ცოდნის კონკრეტული ხარვეზები, რომლებზედაც თავად გამოკითხული ადვოკატები უთითებდნენ კვლევის პროცესში. დაისახა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული გზები და საშუალებები.
- საქართველოს პროკურატურასთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებისას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის, დაცვისა და ბრალდების მხარის კვალიფიკაციის გაუმჯობესებისა და მათი მხრიდან სასამართლო სხდომებზე ქცევის ერთიანი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა;

● შეიქმნა საქარველოს პროკურატურისა და „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი – საერთო პროფესიული ეთიკისა და იურიდიულ პროფესიათა შორის ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის ხელმძღვანელად დამტკიცდა – ირაკლი კორძახია. მუშაობის შედეგად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და საქართველოს პროკურატურას შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში ხელი მოეწერა ადვოკატთა და პროკურორთა ეთიკურ სტანდარტებს;

● ასოციაციის სარევიზიო კომისიის მიერ მოწვეული იყო აუდიტორული ფირმა, რომელმაც განახორციელა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009–2012 წლების აუდიტორული ანალიზი;

● შეიქმნა ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი, რომლის მიზანია ადვოკატების სოციალური დაცვის ხელშეწყობა, სოციალური დაცვის გაუმჯობესება; ფონდის ფუნქციონირების პერიოდში მატერიალური დახმარება მიიღი ხუთმა ადვოკატმა;

● EWMI–JILEP-ის თანადგომით 2013 წლიდან კვარტალურად გამოდის პროფესიული ჟურნალი „ადვოკატი“;

● გამოდის ელექტრონული საინფორმაციო გამოცემა „პროფესიული ამბები“;

● EWMI–JILEP-ის თანადგომით და დაფინანსებით შეიქმნა ასოციაციის ახალი ვებ–გვერდი;

● გაღრმავდა თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებთან;

● ამ წლების მანძილზე ჩატარდა არაერთი საერთაშორისო კონფერენცია:

● 2012 წლს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საფრანგეთის პარიზის ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი ორგანიზებით ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია.

● 2012 წლის ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს (CCBE) დელეგაციის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ვიზიტისას ადვოკატთათვის ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია;

● 2012 წელს ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის (IBAHRI) მიერ გაიმართა ანგარიშის პრეზენტაცია თემაზე: „სამართლის უზენაესობის განმტკიცება: ქართველ ადვოკატთა წინაშე მდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები“

● 2012 წელს ევროკავშირის ხელშეწყობით გაიმართა ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) „ადვოკატთა პროფესიის“ შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია;

ეთიკის კომისია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია 2006 წლიდან ფუნქციონირებს და განიხილავს ადვოკატთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს.

ეთიკის კომისია შედგება 15 წევრისაგან – 12 ადვოკატი და საზოგადოების 3 წარმომადგენელი. ეთიკის კომისია 5 კოლეგიად არის დაყოფილი. ყოველი კოლეგია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეთიკის კომისიას, ისევე როგორც თითოეულ კოლეგიას, ჰყავს თავმჯდომარე.

ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსთან ერთად, ეყრდნობა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკას, ადვოკატთა პროფესიული ქცევის სტანდარტების დამდგენ სხვადასხვა აქტებს, როგორიცაა, გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ და ევროსაბჭოს რეკომენდაციები ადვოკატთა პროფესიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამასთან, ეთიკის კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები მუდმივად ეცნობიან ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის წესებსა და ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს. ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების მონაწილეობით იმართება შეხვედრები, გასვლითი ტრენინგები, რაც კომისიას აძლევს საშუალებას მუდმივად დახვეწოს მისი საქმიანობა.

ეთიკის კომისიის ან მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები:

● შემუშავდა საჩივრის ფორმა, რომელიც ხელმისაწვ–დომია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებ-გვერდზე, ასევე სტატისტიკის ფორმა და ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხები;

● მიმდინარეობდა მუშაობა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების ახალ პროექტზე;

● ევროკავშირის პროექტის – „კანონის უზენაესობის განმტკიცება საქართველოში“ მხარდაჭერით შეიქმნა ეთ–იკის კომისიისათვის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა;

● ვებ-გვერდისათვის მომზადდა ინგლისურენოვანი მასალების ნაწილი;

● სამუშაო ჯგუფის ფორმატში შემუშავდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;

● ევროკავშირის პროექტის – „კანონის უზენაესობის განმტკიცება საქართველოში“ მხარდაჭერით განხ–ორციელდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლების კომენტირება ეთიკის კომისიის არსებული პრაქტიკის საფუძველზე;

● ევროკავშირის პროექტის – „კანონის უზენაესობის განმტკიცება საქართველოში“ მხარდაჭერით ბიბლი–ოთეკისთვის შეძენილი იქნა სხვადასხვა გამოცემა ეთიკის საკითხებზე;

● ევროკავშირის და USAID-ის JILEP პროექტების მხარდაჭერით ჩატარდა კონფერენცია საადვოკატო პროფესიული ეთიკის საკითხებში ადვოკატებისა და მართლმსაჯულებაში მონაწილე სხვა პირების და ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;

● მიღებული იქნა სარეკომენდაციო გადაწყვეტილებები ეთიკის კომისიის მიერ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, რომლებიც ხელმისაწვდომია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე ეთიკის კომისიის სხდომის ოქმების სახით;

● ევროკავშირის პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ და USAID ის პროექტის, JILEP ხელშეწყობით გაიმართა სემინარები ეთიკის საკითხებზე ეთიკის კომისიის წევრებისა და აპარატისთვის;

● დაიწყო ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დანერგვა. პროგრამის ფარგლებში ადვოკატებს და განმცხადებლებს მიეცემათ შესაძლებლობა გამარტივებული ფორმით მიიღონ ინფორმაცია ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოების თაობაზე;

● ეთიკის კომისიის წევრები კომისიის წარ–მომადგენლების სახით, ჩართულნი არიან საკანონ–მდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის მუშაობაში,

რომლის მიზანიცაა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებსა და დამატებებზე მუშაობა, რაც პროფესიული ეთიკის მომწესრიგებელ ნორმებსაც შეეხება;

● EWMI–JILEP-ის თანადგომით მომზადდა პროექტი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებების შეტანის შესახებ, რომელიც საერთო კრებამ 2012 წლის 8 დეკემბერს მიიღო;

● ეთიკის კომისია ჟურნალში „ადვოკატი“ აქვეყნებს კომენტარებს ეთიკის კოდექსის ცალკეულ ნორმაში შესული ცვლილება-დამატებების შესახებ;

● EWMI–JILEP-ის თანადგომით, ექსპერტის რეკო–მენდაციების საფუძველზე მომზადდა პროექტი ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებუ–ლებაში დამატების შეტანის შესახებ, რომელიც საერთო კრებამ 2012 წლის 8 დეკემბერს მიიღო;

● EWMI–JILEP-ის მხარდაჭერით ჩატარდა ეთიკის კომისიის წევრთა ტრენინგი სარეკომენდაციო დასკვნების მომზადების შესახებ;

● EWMI–JILEP-ის მხარდაჭერით ეთიკის კომისიის წევრებმა და თანამშრომლებმა გაიარეს სპეციალური სწავლება კომუნიკაციის საკითხებში, რაც ორიენ–ტირებულია როგორც გუნდური, ასევე ინდივიდუალური მუშაობისას კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შორის, აგრეთვე კომისიის საქმიანობის მომხმარებლებთან ეფექტიანი ურთიერთობის უნარებზე;

● EWMI–JILEP-ის და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მონაწილეობით, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად განხორციელდა ეთიკის კომისიის წევრთა შეხვედრები;

● EWMI–JILEP-ის მხარდაჭერით ჩატარდა მომხ–მარებელთა კმაყოფილების კვლევა, ეთიკის კომისიის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

● NORLAG-ის პროექტის ფარგლებში, ეთიკის კომისიის ბიბლიოთეკამ შეიძინა ახალი ლიტერატურა;

● ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, კომისიის ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება ვებ-გვერდზე, გასული წლის 1 ივლისიდან ქვეყნდება იმ ადვოკატთა ვინაობა, რომელთაც საქმიანობის უფლებამოსილება შეუჩერდათ განსა–ზღვრული ვადით, ხოლო დეკემბრიდან ქვეყნდება ყველა იმ ადვოკატის ვინაობა, რომელთაც დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება განესაზღვრათ;

● EWMI–JILEP-ის ხელშეწყობით, ეთიკის კომისიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, აშშ-ის ვირჯინიის შტატის იურისტთა ასოციაციაში პრაქტიკის, გამოცდილების გაზიარებისა და შემდგომ საქმიანობაში დანერგვის მიზნით;

● 2012 წელს, EWMI–JILEP-ის მხარდაჭერით შედგა კონფერენცია, სადაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მმართველმა ორგანოებმა, მათ შორის,

ეთიკის კომისიამ ვრცელი ანგარიში წარადგინა საადვოკატო პროფესიული ეთიკის საკითხებზე ადვოკა–ტებისა და მართლმსაჯულებაში მონაწილე სხვა პირების და ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით;

● 2012 წელს, ეთიკის კომისიამ ასოციაციის თავმჯდომარესთან, აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან ერთად, რეგიონებში შეხვედრები გამართა ადვოკატებთან ეთიკის საკითხებზე;

● EWMI–JILEP მხარდაჭერით, ეთიკის კომისიამ 2013 წლიდან დანერგა და დაიწყო რეკომენდაციების გაცემა, როგორც წერილობითი, ასევე „ცხელი ხაზის“ მეშვეობით. „ცხელი ხაზი“ ადვოკატებს დამატებით შესაძლებლობას აძლევს ადვოკატის პროფესიული ეთიკისა თუ დის–ციპლინური წარმოების შესახებ კითხვებზე დროულად მიიღონ პასუხები. რეკომენდაციები და „ცხელი ხაზის“ მეშვეობით გაცემული პასუხები ქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე, ასევე ასოციაციის პერიოდულ გამოცემაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ხელმისაწვდომობა ადვოკატებისათვის;

● ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის ხელ–შეწყობით, (NORLAG) ქართულ ენაზე გადაითარგმნა შედარებითი კვლევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებზე, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და ხელმისაწვდომი იქნება ადვოკატებისათვის;

● ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში“ დაწყე–ბულია მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადვოკატის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურის მოსა–წესრიგებლად, იმ მიზნით, რომ საქმისწარმოებაში არ გამოიყენებოდეს ანალოგიით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისც–იპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი;

● ამჟამად მიმდინარეობს ეთიკის კომისიის 2012-2013 წლების პრაქტიკის ანალიზი და განზოგადება, რაც ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ადვოკატებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

ეთიკის კომისიის საქმიანობის 2010-2013 წლის სტატისტიკა

2010 წლის განმავლობაში, ეთიკის კომისიაში შემოვიდა – 108 საჩივარი, 2011 წელს – 115, 2012 წელს – 152, ხოლო 2013 წლის 7 ოქტომბრის მდგომარეობით – 131 საჩივარი. კლიენტთა გარდა, ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართავენ ადვოკატები, სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, პროკურატურა. კომისიას საჩივრები გადმოეგზავნა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდანაც, მათ შორის, პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან, სამინისტროებიდან და პროკურატურიდან.

სასწავლო ცენტრი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიზანია იყოს წამყვანი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის, სპეციალიზებულ, პროფესიულ, იურიდიული სწავლების შესაძლებლობას მოქმედი და მომავალი ადვოკატებისთვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის. 2006 წლიდან დღემდე, სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებს, ხოლო 2008 წლიდან ინტენსიურად ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, ლექციებს, კურსებს, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, 2012 წელს დამტკიცებული განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფციის საფუძველზე ამოქმედდა განგრძობადი იურიდიული განათლების სი–სტემა, რომლის ფარგლებშიც, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის სავალდებულო გახდა საგანმანათლებლო კრედიტსაათების დაგროვება.

2012 წლის ბოლოს, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, განგრ–ძობადი იურიდიული განათლების მარეგულირებელი კომისია გაუქმდა და შეიქმნა სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭო, რომელიც არის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სათათბირო ორგანო. იგი შეიმუშავებს საგანმანათლებლო სტრატეგიას, პროფესიაში მიღებისა და განგრძობადი იურიდიული

განათლების სტანდარტებს, წესებს და განსაზღვრავს სასწავლო ცენტრის საქმიანობის მიმართულებებს.

USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის მხარდაჭერით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს East West Management Institute, მზადდება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ელექტრონული პროგრამა. გამოცდების ჩატარების წესში შესული ცვლილებების საფუძველზე, 2014 წლიდან ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს ექნება შესაძლებლობა, გამოცდაში მონაწილეობის მსურველებს შესთავაზოს გამოცდის ჩაბარების ალტერნატიული საშუალება.

სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- ***პროექტი „ადვოკატთა პროფესიული ეთიკა."***- 2011 წელს, ცენტრის მიერ შემუშავდა პროექტი „ეთიკა განგრძობად იურიდიულ განათლებაში," რომელიც ითვალისწინებდა ქ. თბილისსა და ქუთაისში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესახებ ტრენინგების ორგანიზებას. პროფესიული ეთიკის შე–სახებ პროექტის საფუძველზე 2012 წლიდან დღემდე, ადვოკატთა ტრენინგების ორგანიზება ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის თანადაფინანსებით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს East West Management Institute.

- ***პროექტი „სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა."*** 2012 წელს სასწავლო ცენტრისა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის წარმომადგენლობის მიერ (NORLAG) შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც, 2012 წლიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით, სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევდა ადვოკატთა ტრენინგებს თემაზე „სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე, უდანაშაულობის პრეზუმპფცია და მხარეთა თანასწორობა". ტრენინგები ჩატარდა ქ. თბილისსა და ქუთაისში.

- ***პროექტი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ."*** 2013 წელს, სასწავლო ცენტრსა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის ხელშეწყობა საქართველოში" ურთიერთთანა–მშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც, 2013–2014წწ. სასწავლო ცენტრი ორგანიზებას გაუწევს ადვოკატთა ტრენინგებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საკითხებზე. პროექტით გათვ–ალისწინებული საგანმანათლებლო ღონისძიებები და აქტივობები განხორციელდება თბილისში, თელავსა და ზუგდიდში.

- ***პროექტი „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოც–იალური ქარტიის საკითხებზე."*** ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის არსებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2013–2014 წწ. სასწავლო ცენტრი ორგანიზებას გაუწევს ტრენინგებს ადვოკატებისთვის, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის საკითხებზე". პროექტით გათ–ვალისწინებული საგანმანათლებლო ღონისძიებები განხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

- ***პროექტი „ადვოკატთა ტრენინგები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე."*** პროექტის ფარგლებში 2013 წელს, სამოქალაქო სამართლის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზების მიზნით, სასწავლო ცენტრმა გამოაცხადა სპიკერების შესარჩევი კონკურსი და კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა 9 სპიკერი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის ტრენინგების ორგანიზებას. ადვოკატთა გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა სამოქალქო სამართლის აქტუალური საკითხები და ოქტომბერ–დეკემბრის ჩათვლით, ჩატარდება ტრენინგები შემდეგ თემებზე: ქონების რეგისტრაცია, ინტელექტუალური

საკუთრება, ხელშეკრულების განმარტება, კონდიქციური და ვინდიკაციური სარჩელები – გამოყენების სფერო, მეთოდები და საშუალებები, ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, საერთაშორისო კომერციული, ბიზნეს ხელშეკრულების დადება, დავის განმხილველი სასამართლო და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება. ორგანიზება ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის თანადაფინანსებით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს East West Management Institute.

- ***პროექტი „ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას.“*** პროექტის ფარგლებში მომზადდა 2 სასწავლო მოდული შემდეგ საკითხებზე: „ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალში“ და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, მედიაცია და განრიდება“. აღნიშნული მოდულების მიხედვით ტრენინგები ჩატარდა თბილისსა და ქუთაისში.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, განხორციელდა შემდეგი საგანმანათლებლო ღონისძიებები:

ტრენინგები შემდეგ საკითხებზე:

- ადვოკატთა პროფესიული ეთიკა;
- მედიაცია;
- სამართლებრივი მართლწერა;
- სოციალური დაცვის გარანტიები საოციალურად დაუცველი პირებისთვის;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები;
- სააღსრულებო წარმოება;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები;
- სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, უდანაშაულობის პრეზუმპფცია და გასაჩივრების მექანიზმები;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და დაცვის მექანიზმები;
- ვალდებულებითი სამართლის აქტუალური საკითხები;
- საგადასახადო სამართლის აქტუალური საკითხები;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- სასამართლო ექსპერტიზა;
- სასამართლო უნარჩვევები;
- ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო;
- სამოქალაქო პროცესში, თავისუფლებაშეზღუდული პირების უფლება დაპატიმრების პირობებსა და ჯანმრთელობის დაცვაზე;
- ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალში;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მედიაცია, განრიდება;
- ადვოკატთა სიმპოზიუმი;
- ფაქტების კონსტანტაცია;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები;
- ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის სფეროში;
- ექსპერტი მოწმის დაკითხვა;
- საერთაშორისო კომერციული დავები;
- ადვოკატის პროფესიული გამოწვევები სისხლის სამართლის პროცესში;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის ერთობლივი ანალიზი;
- სასამართლო- ფსიქიატრიული და ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა;
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები;
- 2 ეროვნული კონფერენცია ბიზნესსამართლის საკითხებზე.

სასწავლო ცენტრისთვის შეიქმნა ახალი ვებ გვერდი www.edu.gba.ge, სადაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება საგანმანათლებლო ღონისძიებების, გამოცდების, კურსებისა და იურისტებისთვის საინტერესო სხვა სიკითხების შესახებ.

სისხლის სამართლის კომიტეტი

სისხლის სამართლის კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული პრობლემების შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. აგრეთვე, სახელმწიფოში სისხლის სამართლის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა შემდგომი შეფასების მიზნით, ისევე, როგორც სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შესწავლა-გამოვლენა და არსებული მდგომარეობის ანალიზი. ამასთან, კომიტეტში შემავალი კომისიების მიერ შესაბამისი დასკვნებისა და სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე ადვოკატების ნამუშევრების ყოველწლიური კრებულის გამოსაცემად მასალების მომზადება, შესაბამისი მიმართვების, წერილების და სხვა დოკუმენტების მომზადება სახელმწიფო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წარსადგენად.

- არჩეული იქნა სისხლის სამართლის კომიტეტის ექსპერტთა ჯგუფი პროფესორების, ოთარ გამყრელიძის, მინდია უგრეხელიძის, ნინო გვენეტაძის და მერაბ ტურავას შემადგენლობით.
- გაფორმდა მემორანდუმი პროკურატურასა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით, წინადადების წარდგენის მიზნით;
- ჩამოყალიბდა კონკრეტული მიმართულებები:
  1. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც წარდგენილი იქნება ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების წინაშე.
  2. მოხსენებების წაკითხვა და დისკუსიების გამართვა სისხლის სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე.
  3. სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა, რაც გამოიხატება კომიტეტისათვის წარდგენილი სისხლის სამართლის იმგვარი საქმეების შესაწავლაში, რაც გამოიხატება კომიტეტისთავის წარდგენილი სისხლის სამართლის იმგვარი საქმეების შესწავლაში, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების ინტერესის საგანს და მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა

და ზოგადად, სამართლის განვითარების თვალსაზრისით. სისხლის სამართლის ამგვარი საქმეების შერჩევის კრიტერიუმები დადგინდება კომიტეტის რეგლამენტით, რომელიც დამტ–კიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

4. სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატების საუკეთესო ნამუშევრების გამო–ქვეყნება ასოციაციის ჟურნალში, ასევე მათი გამოცემა.
5. მონაწილეობის მიღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების შემმუშავებელი უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

კომიტეტის წევრებისა და მოწვეული ექსპერტების მიერ მომზადდება მოხსენებები სისხლის სამართლის სფეროში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე:

- „ექსტრადიცია ქართული და საერთაშორისო სის–ხლის სამართლის მიხედვით," – მომხსენებელი მერაბ ტურავა
- „იმპიჩმენტის ქართული მოდელი," – მომხსენებელი ევა გოცირიძე;
- სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ, 50-ე მუხლის მე-2 ნაწ–ილიs, 414-ე მუხლiს მე-8 ნაწილის შესახებ მოსაზრება წარმოადგინა პროფესორმა მერაბ ტურავამ;
- „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის" შექმნის თაობაზე კანონპროექტის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე;
- სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო ხარვეზული ნორმების სრულყოფის მიზნით კომიტეტის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმათა სრულყოფა (სსსკ-ის 50 მუხლი) და მათი შესაბამისობაში მოყვანა სხვა კანონებთან, მაგალითად საქართველოს „ადვოკატთა შესახებ" კანონთან მიმართებაში;
- „მხატვრული ლიტერატურა და სისხლის სამართლის საკითხები," – მომხსენებელი ოთარ გამყრელიძე;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით პროკურატურის პოზიცია – მომხსენებელი იოსებ ბარათაშვილი;
- „მართლმსაჯულების ხარვეზი თუ სასამართლო შეცდომა?" – მომხსენებლი ნინო გვენეტაძე;
- „სისხლის სამართლის პრინციპები: დიფერენციაცია და კლასიფიკაცია" – მომხსენებელი მინდია უგრეხელიძე.
- საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, დიდი დრო დაეთმო „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" კანონპროექტის თაობაზე მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენას.
- კომიტეტის მიერ მომზადდა ცვლილებებათა პაკეტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ცვლილებები რამდენიმე თვის განმავლობაში მუშავდებოდა და ფართო მსჯელობის საგანი გახდა;
- სისხლის სამართლის სფეროში არსებული უაღრესად რთული პრობლემების შესწავლა და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება, დღეისათვის, კვლავაც წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის მნიშვნელოვან ამოცანას და ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება 2014 წელსაც არის დაგეგმილი.

პარტნიორი და დონორი ორგანიზაციები

- ამერიკის იურისტთა ასოციაცია – (ABA);
- ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში – (NORLAG);
- გაეროს ბავშვთა ფონდი – (UNICEF);
- სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი;
- USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი – (JILEP);
- ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და იურიდიული საზოგადოების საბჭო – (CCBI);
- ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია – (IBA – International Bar Association);
- პარიზის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში – (Delegation of the European Union to Georgia)
- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში – (Council of Europe Office in Georgia)
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში;
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში;
- დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
- შავი ზღვის უნივერსიტეტი;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპარლამენტო ბიბლიოთეკა;
- ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა ადვოკატები";
- საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის – (GLIP);
- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი.